ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის
მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველობის გამოცემა

1938 წ. მარტის. 11 № 7 თბილისი.

შინაარსი

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი

25. 1938 წელს წყალდიდობასთან ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ.

26. 1938 წელს ციტრუსოვანი კულტურების გაშენების გეგმისა და ამ კულტურების მოსავლიანობის შემდგომი გადიდების ღონისძიებათა შესახებ.

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი

25. 1938 წელს წყალდიდობასთან ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ.

1938 წელს წყალდიდობასთან ბრძოლის ორგანიზაციის მიზნით, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. შეიქმნას საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან წყალდიდობასთან ბრძოლის საგანგებო კომისია შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე—საქ. სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი ამხ. ს.ა. გოგლიძე, წევრები: საქ. სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარი—ამხ. ს.გ. ხოშტარია, საქ. სსრ მიწსახკომის წყალთა მეურნეობის სამმართველოს უფროსის მოვალეობის დრ. აღმსრულებელი—ამხ. ა. პ. შჩეტინინი, საქართველოს შინსახკომის გზა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტკეცილების, ყამირგზების და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოს უფროსი—ამხ. ა. გ. ამირანაშვილი და ა/კ რკინიგზის სამართველოს უფროსის მოადგილე ამხ. კიკნაძე. დაეკისროს კომისიას: ყველა იმ უწყების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მოქმედებათა კორდინირება, რომლებიც უშუალოდ არიან დაინტერესებული წყალდიდობასთან და მის შედეგებთან ბრძოლის საქმეში; ხელმძღვანელობის გაწევა ყველა იმ ღონისძიებების განხორციელებისათვის, რომლებიც უზრუნველჰყოფენ მიმდინარე წლის გაზაფხულზე მოსალოდნელ წყალდიდობასთან ბრძოლის დროულად მომზადებასა და ჩატარებას; ნაპირების გამაგრების სამუშაოთა თავის დროზე შესრულების და ნაპირების გასამაგრებელ როგორც არსებულ, ისე ახლად მოწყობილ ნაგებობათა დაცვის სამუშაოთა უზრუნველყოფა.

2. დამტკიცდეს წარმოდგენილი გეგმა წყალდიდობასთან ბრძოლის შესახებ.

3. წინადადება მიეცეს საქ. სსრ ფინსახკომს უზრუნველჰყოს წყალდიდობასთან ბრძოლის სამუშაოთა დაფინანსება 900.000 მანეთის რაოდენობით საქართველოს სსრ 1938 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

4. წინადადება მიეცეს რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტებს და იმ რაიონების საქალაქო საბჭოებს, რომლებსაც წყალდიდობის საფრთხე ემუქრებათ, მოაწყონ წყალდიდობასთან ბრძოლის საგანგებო კომისიები შემდეგი შედგენილობით: თავმჯდომარე—რაიონული აღმასრულებელი კომიტეტის ან საქალაქო საბჭოს თავმჯდომარე, წევრები: შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის რაიონული განყოფილების უფროსი, სათანადო სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე და წყალთა მეურნეობის სამმართველოს რაიგანყოფილების წარმომადგენელი.

5. წინადადება მიეცეს რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტებს მიიღონ ზომები იმისათვის, რათა წყალდიდობასთან ბრძოლის სამუშაოები უზრუნველყოფილ იქნას საჭირო სამშენებლო მასალებით (წნელი და სხვ. ხე-ტყის მასალა, რაც საჭიროა წყალდიდობასათან ბრძოლის ნაგებობათა ასაშენებლად).

6. წინადადება მიეცეს რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტებს უზრუნველჰყონ ცენტრალური და ადგილობრივი საგანგებო კომისიების მოთხოვნით მოსახლეობის შრომითი მონაწილეობა წყალდიდობასთან ბრძოლის სამუშაოებში მუშა ხელითა და ტრანსპორტით იმ წესით, რაც გათვალისწინებულია საქ. სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წლის 13 მაისის დადგენილებით „სტიქიურ უბედურებასთან ბრძოლისათვის შრომის ბეგარის დაწესების შესახებ“ (კან. კრ. 1932 წ. № 16, მუხ. 127; 1933 წ. № 12, მუხ. 166; 1934 წ. № 1, მუხ. 28; 1935 წ. № 14, მუხ. 79).

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. წინადადება მიეცეს საქ. სსრ მიწსახკომს, საქ. სსრ ჯანსახკომის მთავარ საკურორტო სამმართველოს ნება დართონ წყალდიდობასთან ბრძოლის კომისიებს მოსჭრან ხე-ტყის საჭირო რაოდენობა წყალდიდობასთან ბრძოლის ღონისძიებებისათვის.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მ.დ.ა. **რ. ჭელიძე.**

1938 წ. მარტის 4. № 261.
თბილისი.

---

26. 1938 წელს ციტრუსოვანი კულტურების გაშენების გეგმისა და ამ კულტურების მოსავლიანობის შემდგომი გადიდების ღონისძიებათა შესახებ.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან 1938 წლის 16-17 თებერვალს ჩატარებული ციტრუსოვანი კულტურების რაიონების ხელმძღვანელ მუშაკთა, სპეციალისტთა და ციტრუსების პრაქტიკოს კოლმეურნეთა თათბირის მიერ მიღებული წინადადებების შესაბამისად და იმ მიზნით, რომ წარმატებით განხორციელდეს საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1936 წ. 1 აპრილის დადგენილება „1936—1940 წლებში საქართველოს სსრ ციტრუსოვანი კულტურების მეურნეობის განვითარების გეგმის შესახებ“ (სსრკ. კან. კრ. 1936 წ. მუხ. 21, №. 189), საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

I. 1938 წელს ციტრუსოვანი კულტურების გაშენების გეგმისა და ამ კულტურების პლანტაციების გაშენების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.

1. შესაცვლელად საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1935 წლის 16 ნოემბრის დადგენილებისა „საქართველოს შავიზღვის სანაპიროზე ციტრუსოვან კულტურათა ფართობების გადიდების ხუთწლიანი გეგმის (1936-1940 წ.წ.) შესახებ საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1935 წლის 5 ნოემბრის დადგენილების განხორციელების ღონისძიებებზე“ (საქ. სსრ კან. კრ. 1936 წ. № 1, მუხ. 4) და 1936 წლის 15 აპრილის დადგენილებისა „საქართველოს სსრ შავი ზღვის ნაპირზე კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ მეურნეთა საკარმიდამო მიწებზე ციტრუსოვანი ნარგავების სავალდებულო გაშენების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1936 წ. № 12, მუხ. 71), დამტკიცდეს შემდეგი რაიონობითი განაწილება ციტრუსოვანი კულტურების გაშენების გეგმისა 1938 წლის გაზაფხულისათვის კულტურებისა და სექტორების მიხედვით (იხ. დანართი № 1).

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. დაწესდეს ვადა ნიადაგის მომზადების დამთავრებისა ციტრუსოვანი კულტურების გასაშენებლად 1938 წლის გაზაფხულზე—10 მარტი და პლანტაციების გაშენების დამთავრებისა—15 აპრილი.

3. აღინიშნოს, რომ ციტრუსოვან ნარგავთა პლანტაციების გაშენების დროს გასულ წლებში დაშვებული იქნა მთელი რიგი აგროტექნიკური დარღვევანი. ბევრ პლანტაციას აშენებდნენ ისე, რომ წინასწარ არ ხდებოდა ნიადაგის დამუშავება და სიდერატების ან სახნავი კულტურების დათესვა; ვაკე ადგილებზე გაშენებულ პლანტაციებში საკმარისად არ ტარდებოდა სამელიორაციო სამუშაოები (დრენაჟი, სფერიული მწკრივების მოწყობა); მთელ რიგ საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში ფერდობებზე გაშენებულ პლანტაციებში არ ჩატარებულა ფართობის სწორად დაყოფა; არის მთელი რიგი შემთხვევები, როდესაც დარგული ხეების ფესვთა სისტემა მიწის ზემოთაა ამოყრილი ზერელედ დარგვის გამო, აგრეთვე შემთხვევები, როცა ხეების ფესვის ყელი ჩაფლულია მიწაში ღრმად დარგვის გამო.

საქართველოს სსრ სახკომსაბჭო აღნიშნავს, რომ ყველა ეს ნაკლოვანებანი იმის შედეგია, რომ რაიონული და სამიწათმოქმედო ორგანოები და საბჭოთა მეურნეობების დირექტორები არადამაკმაყოფილებელ ხელმძღვანელობას უწევენ ციტრუსოვანი კულტურების დარგვის საქმეს, რომ არადამაკმაყოფილებლად სწარმოებს საბჭოთა მეურნეობების იმ მუშებისა და იმ კოლმეურნეების შერჩევა, რომელნიც გამოყოფილნი არიან ხეების დასარგავად, რომ ამ მუშებისა და კოლმეურნეების მუშაობას არ ეწევა აგრონომიული ხელმძღვანელობა და არ სჩანს საოანადო ზრუნვა იმისათვის, რომ მომზადდეს კვალიფიციური კადრები ციტრუსოვანი კულტურების დარგვის საქმეში.

4. ციტრუსოვანი კულტურების პლანტაციების მართებულად გაშენების უზრუნველყოფის მიზნით, დაევალოს საქართველოს სსრ-ის მიწსახკომს, ლიმმანტრესტს და ტრესტ „საქ. ჩაის“:

ა) დაავალონ რაიმიწგანების და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების საუბნო აგრონომებს—კოლმეურნეობების ხაზით და საბჭოთა მეურნეობების უფროს აგრონომებს—საბჭოთა მეურნეობების ხაზით არაუგვიანეს 10 მარტისა გამოჰყონ ჯგუფი დარგვის საქმეში გამოცდილი მუშებისა და კოლმეურნეებისა და მიამაგრონ ისინი განსაზღვრულ ნაკვეთებზე ციტრუსოვანი კულტურების დარგვის ჩასატარებლად;

ბ) დარგვის ხელმძღვანელობისათვის მიამაგრონ აგრონომები განსაზღვრულ კოლმეურნეობებზე, საბჭოთა მეურნეობების ნაკვეთებზე და სასოფლო საბჭოებზე დარგვის პერიოდში, ამასთან, დაავალონ მათ—უჩვენონ ციტრუსოვანი კულტურების სანიმუშო დარგვა კოლმეურნეებს, ერთპიროვნულ მეურნეებს და საბჭოთა მეურნეობების მუშებს, აგრეთვე სისტემატური კონტროლი გაუწიონ დარგვის მიმდინარეობას;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) მოაწყონ და ჩაატარონ 10 მარტიდან 15 მარტამდე ციტრუსოვანი კულტურების დასარგავად გამოყოფილ საბჭოთა მეურნეობების მუშათა და კოლმეურნეთა ორდღიანი პრაქტიკული კურსები, ამასთან ამ კურსების ხელმძღვანელობა დააკისრონ კოლმეურნეობებში—რაიმიწგანების გამგეებს და საბჭოთა მეურნეობებში—საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს;

დ) უზრუნველჰყონ დამზადება, ციტრუსების გაშენების ადგილას მიტანა და ბუდნებში ჩაყრა გადამწვარი ნაკელის საჭირო რაოდენობისა, საქართველოს სსრ-ის მიწსახკომის მიერ დაწესებული ნორმების შესაბამისად.

5. დაევალოს საქართველოს სსრ-ის მიწსახკომს 5 მარტამდე ზედმიწევნით შეამოწმოს სარგავი მასალის მდგომარეობა და არაუგვიანეს 10 მარტისა დაამთავროს სანერგე მასალის განაწილება რაიონებსა და საბჭოთა მეურნეობებს შორის.

6. ცნობილ იქნას, რომ არსებული პრაქტიკა ციტრუსოვანი კულტურების პლანტაციების გაშენებისა სამი მეტრის ანგარიშით ცალკეულ ხეებს შორის—მეტწილად გამოყენებულია მექანიკურად, ადგილობრივი პირობების (ადგილის რელიეფი, ნიადაგი, ჰავა) და ცალკეულ კულტურათა ბიოლოგიური თავისებურების (კრონის განვითარება, ფორთოხლის ხეზე ნაყოფის მოსხმა კრონის ზედაპირზე და სხვ.) გაუთვალისწინებლად.

საქართველოს სსრ სახკომსაბჭო სთვლის, რომ დამკვიდრებული პრაქტიკა ციტრუსოვანი კულტურების პლანტაციების გაშენებისა ცალკეულ ხეებს შორის 3 მეტრის მანძილის დატოვებით ძირითადად სწორია, მაგრამ განმარტავს, რომ ხეების სიხშირე თვითეულ ცალკე შემთხვევაში უნდა განისაზღვროს როგორც ადგილის რელიეფის, ნიადაგის, კლიმატიური პირობების და ამა თუ იმ კულტურის ბიოლოგიური თავისებურების მიხედვით, ისე მწკრივთა შორის დამუშავებისა, ხის მოვლისა და მისი წამლობის შემდგომი მექანიზაციის ინტერესების გათვალისწინებით.

ითვალისწინებს რა დარგვის ყველაზე მოხერხებული წესების გამოცდილებას, იმ წესებისა, რომლებმაც გაამართლეს თავისი თავი როგორც მაღალი მოსავლიანობით, ისე ყინვის გამძლეობით და ხეების კარგი მდგომარეობით,—საქართველოს სსრ სახკომსაბჭო სთვლის, რომ დარგვის სიხშირე პლანტაციების გაშენების დროს თვითეულ ცალკე შემთხვევაში უნდა განისაზღვროს ზემოაღნიშნული პირობების მიხედვით და ამასთან დაცულ უნდა იქნას სანიმუშო მანძილი ხეებს შორის 2 მეტრიდან 3 მეტრამდე და მწკრივებს შორის 4 მეტრიდან 5 მეტრამდე.

ფორთოხლის პლანტაციების გაშენების დროს მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ფორთოხლის ხის კრონის მძლავრი განვითარება, რის გამო მანძილი ფორთოხლის ხეებს შორის შეიძლება, დაახლოებით აყვანილ იქნას 4 მეტრამდე ხეებს შორის და 5-6 მეტრამდე მწკრივებს შორის,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციტრუსოვანი კულტურების პლანტაციების მდებარეობის განაწილების დროს, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ ლიმონის ხე თავისი განვითარებისათვის მოითხოვს გაცილებით მეტ სითბოს ვიდრე მანდარინი და ფორთოხალი.

ამისდამიხედვით, ციტრუსოვან კულტურათა პლანტაციების მდებარეობის განაწილების დროს გათვალისწინებულ უნდა იქნას არა მარტო მთლიანად რაიონის კლიმატური თავისებურებანი, არამედ აგრეთვე თვითეული მიკრონაკვეთის თავისებურებანიც ისე, რომ უფრო თბილ მიკრონაკვეთებზე გაშენებულ იქნას ლიმონის პლანტაციები. უფრო თბილ კლიმატურ პირობებში, თუ საიმედო ქარსაცავი შეიქმნა, ლიმონის პლანტაციების გაშენება შეიძლება მოხდეს ცალკეულ მასივებად (1 ჰექტარიდან 10 ჰექტარამდე).

დადგენილ იქნას, როგორც წესი, რომ ლიმონის პლანტაციების გაშენება, განსაკუთრებით უფრო ნაკლებ თბილ კლიმატურ პირობებში უნდა სწარმოებდეს უმთავრესად პატარა-პატარა ნაკვეთებად (1 ჰექტარამდე) და ხეების პატარა-პატარა ჯგუფებად როგორც სპეციალურ ქარსაცავ და ყინვების გამძლე სხვა ნარგავთა საფარქვეშ, ისე მანდარინის და ფორთოხლის ნარგავთა შორის.

7. საქართველოს სსრ სახკომსაბჭო წინადადებას აძლევს აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს, და რაიაღმასკომებს 1938 წლის გაზაფხულზე ციტრუსოვანი კულტურების, პლანტაციების გასაშენებლად მუშაობის წარმოების დროს მხედველობაში მიიღონ და გამოასწორონ ციტრუსოვან კულტურათა დარგვის ყველა ის დეფექტი, რასაც ადგილი ჰქონდა გასულ წლებში.

ამ მიზნით, საქართველოს სსრ სახკომსაბჭო ავალებს რაიაღმასკომების თავმჯდომარეებს, „საქ. ჩაის“ და ლიმმანტრესტის დირექტორებს-უახლოეს დღეებში მოაწყონ ყველა პლანტაციის შემოწმება და გამოარკვიონ თვითეულ პლანტაციაზე ზუსტი რაოდენობა იმ ხეებისა, რომლებიც დარგვის დეფექტების გამოსწორებას მოითხოვენ.

დაევალოს საქართველოს სსრ მიწსახკომს, ტრესტ „საქ. ჩაის“, ლიმმანტრესტს და რაიაღმასკომების თავმჯდომარეებს, ციტრუსოვან კულტურათა პლანტაციებისა და სანერგეების გაშენების დარგში მორიგ სამუშაოთა ჩატარებასთან ერთად, დაუყოვნებლივ გაშალონ მუშაობა, რათა აიღონ მიწა იმ ხეების ბუდნებიდან, რომლებიც ღრმად არის დარგული, და დააყარონ მიწა ზერელედ დარგული ხეების ბუდნებს, აგრეთვე შეასრულონ სხვა სამუშაოები გასული წლების დარგვის საქმეში არსებული დეფექტების გამოსასწორებლად.

ისეთ შემთხვევებში, როდესაც ადგილის რელიეფის პირობების მიხედვით შეუძლებელია ღრმად დარგვის გამოსწორება მიწის აღების საშუალებით, აუცილებელია ხის (არაუმეტეს ხუთი წლის ასაკისა) ამოწევა საჭირო სიმაღლეზე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამოთხრის საშუალებით; ამასთან დაცულ უნდა იქნას განსაკუთრებული სიფრთხილე და საქართველოს სსრ ის მიწსახკომის სათანადო ინსტრუქციის ყველა მოთხოვნა.

8. რადგან წარსული წლების დარგვის დეფექტები მნიშვნელოვნად იმის შედეგს წარმოადგენს, რომ საქართველოს მიწსახკომმა, „საქ. ჩაის" ტრესტმა, ლიმმანტრესტმა და აგრეთვე რაიალმასკომებმა ვერ უზრუნველჰყვეს საჭირო მუშაობის ჩატარება ნიადაგის წინასწარ მოსამზადებლად იმ ნაკვეთებზე, რომლებიც გამოყოფილი იყო ციტრუსოვან კულტურათა პლანტაციების გასაშენებლად,—საქართველოს სსრ სახკომსაბჭო ავალებს საქართველოს სსრ მიწსახკომს, „საქ. ჩაის" ტრესტს, ლიმმანტრესტს და რაიალმასკომებს, 1938 წელს ციტრუსოვან კულტურათა პლანტაციებისა და სანერგეების გასაშენებლად მუშაობის წარმოებასთან ერთად, გაშალონ სათანადო მუშაობა, რათა წინასწარ მომზადდეს ნიადაგი სათანადო ნაკვეთებზე, რომლებიც გამოყოფილია ციტრუსების გასაშენებლად 1939-1940 წლებში: ტყისა და ბუჩქნარის ამოძირკვა, ვაკე ადგილების მოლიანი დამუშავება, სფერიული მწკრივების მოწყობა, სადრენაჟო ქსელის გაყვანა, ნახევრად ტერასების მოწყობა და წინამორბედ კულტურებად —სახნავი კულტურების დათესვა.

9. 1939 და 1940 წლებში ციტრუსოვანი კულტურების გაშენების გეგმის უზრუნველსაყოფად, დაწესებულ იქნას 1938 წლისათვის მოსამზადებელ სამუშაოთა შემდეგი მოცულობა:

ა) ტყის ამოძირკვა 992 ჰექტარზე;

ბ) ბუჩქნარის ამოძირკვა 893 ჰექტარზე;

გ) სადრენაჟო თხრილების გაყვანა 405.838 გრძივ მეტრზე;

დ) ნიადაგის მომზადება 2.554 ჰექტარზე.

დამტკიცდეს საქართველოს მიწსახკომის მიერ წარმოდგენილი რაიონობითი გეგმა აღნიშნული ღონისძიებებისა (იხ. დანართი № 2).

II. 1938 წლისათვის სანერგეების გაშენების გეგმისა და ციტრუსოვან კულტურათა სანერგეების მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.

საქართველოს სსრ სახკომსაბჭო სცნობს, რომ ციტრუსოვან კულტურათა სანერგეების ახლანდელი მდგომარეობა ვერ აკმაყოფილებს ციტრუსოვანი მეურნეობის განვითარების მოთხოვნილებას ვერც ხარისხობრივად და ვერც რიცხობრივად; რაც წარმოადგენს იმის შედეგს, რომ საქართველოს მიწსახკომი და ადგილობრივი ორგანიზიციები საკმარის ხელმძღვანელობას არ უწევენ არსებულ სანერგეებს და სანერგე მეურნეობის შემდგომი განვითარების საქმეს.

1. იმ მიზნით, რომ 1939 და 1940 წლების გაშენება უზრუნველყოფილ იქნას სანერგე მასალით და შეიქმნას ამ მასალის ფონდი შემდგომი წლებისა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვის,—დაევალოს საქართველოს სსრ-ის მიწსახკომს, „საქ. ჩაის“ ტრესტს და ლიმმანტრესტს:

ა) მოაწყონ 1937 წლის ოკულანტების სათანადო მოვლა (მანდარინი—14.000.000, ლიმონი—6,6 ათასი, ფორთოხალი—427.000) იმ ანგარიშით, რომ უზრუნველყოფილ იქნას სტანდარტული სანერგე მასალის მაქსიმალური გამოსავალი;

ბ) მოაწყონ ზედმიწევნით მოვლა 1938 წლის დარგვიდან დარჩენილი ერთწლიანი ნერგისა, რათა არ იქნას დაშვებული ამ ნერგის გაფუჭება, თანაც უზრუნველჰყონ საჭირო პირობები არასტანდარტული მასალის პოლომდე გაზრდისათვის 1939 წელს გამოსაყენებლად;

გ) რადგან სადედე ხეების აღრიცხვა სრულიად არადამაკმაყოფილებელია და არ სწარმოებს ამ ხეების სპეციალური მოვლა და მეთვალყურეობა,—დაამთავრონ სადედე ხეების აპრობაციის ჩატარება არაუგვიანეს 1 ივლისისა, ამასთან უზრუნველჰყონ მყნობა მაღალმოსავლიანი, შემოწმებული ხეების კალმებით;

დ) შეიმუშაონ ღონისძიებანი სადედე ხეების სპეციალური აღრიცხვის ჩასატარებლად და კოლმეურნეობებისათვის და საბჭოთა მეურნეობების მუშებისათვის წამახალისებელი ზომების დასაწესებლად როგორც სადედე ხეების სანიმუშოდ მოვლისათვის, ისე მაღალხარისხოვანი კალმების გამოსავლისათვის, მაღალი მოსავლიანობის შენარჩუნებით.

2. მოეწყოს საქართველოს სსრ მიწსახკომის სუბტროპიკულ სამმართველოსთან სანერგე მეურნეობის სპეციალისტთა ჯგუფი, რომელსაც დაეკისროს სადედე ხეების გამოყოფის ხელმძღვანელობა, მათი მოვლის შემოწმება, კალმების დამზადებისა და გაცემის კონტროლი ხარისხის დაცვით, მყნობის ჩატარების ხარისხისა, ოკულანტების და ნერგის მოვლის კონტროლი, აგრეთვე ნერგის გაცემისა, მიღებისა და გადაზიდვის კონტროლი.

3. საქართველოს მიწსახკომმა, „საქ. ჩაის“ ტრესტთან და ლიმმანტრესტთან ერთად, დაადგინოს ნერგის გაცემის წესი, რაც უზრუნველჰყოფს არაკეთილხარისხოვანი ნერგის გაცემის აღკვეთას, დააწესოს კონტროლი სანერგე მასალის გაცემისა, გადაზიდვისა და მიღების წესების დაცვისადმი, თანაც დააკისროს პასუხისმგებლობა ნერგის გაცემისათვის სანერგეთა გამგეებს, ხოლო მიღებისა და გადაზიდვისათვის—სამიწათმოქმედო განყოფილებებს, საბჭოთა მეურნეობების და კოლმეურნეობების წარმომადგენლებს, რომელნიც ნერგს იღებენ.

4. დამტკიცდეს ტრიფოლიატის დათესვის გეგმა 1938 წლის გაზაფხულს 22,5 ჰექტარზე და 1938 წელს მყნობის ჩასატარებლად საძირეების დარგვის გეგმა 17.000.000 ცალის რაოდენობით, შემდეგი განაწილებით რაიონებზე და სექტორებზე (იხ. დანართი № 3).

ეროვნული ბიბლიოთეკა

III. პლანტაციების მოვლის გაუმჯობესებისა და ციტრუსოვან კულტურათა მოსავლიანობის შემდგომი ამაღლების ღონისძიებების შესახებ.

საქართველოს სსრ სახკომსაბჭო აღნიშნავს, რომ თუმცა საბჭოთა მეურნეობების და კოლმეურნეობების უმრავლესობას აქვს ერთგვარი მიღწევები ციტრუსოვან კულტურათა აგროტექნიკის ათვისების საქმეში და ციტრუსოვან ნარგავთა მოვლა წარსულ წლებთან შედარებით გაუმჯობესებულია, მაგრამ ციტრუსოვანი კულტურების პლანტაციების მოვლის მდგომარეობა საერთოდ ჯერ კიდევ არ არის დამაკმაყოფილებელი. კერძოდ, საქართველოს სსრ სახკომსაბჭო აღნიშნავს, რომ ბევრ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში ბუდნების გაფართოების დროს დაშვებულ იქნა ფესვთა სისტემის გაშიშვლება და დაზიანება, ნახევრადტერასების მოედნების არასწორად მოწყობა, რამაც ხელი შეუწყო ნიადაგის ჩამორეცხვას; რაიაღმასკომების უმრავლესობას არ მოუწყვია მუშაობა იმისათვის, რომ შეესრულებინათ საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1937 წლის 19 ნოემბრის გადაწყვეტილება ბუდნების მოვლის შესახებ; ბევრ მომუშავეს არ შეუთვისებია ის გარემოება, რომ ციტრუსოვანი კულტურების ნარგავთა სწორი მოვლა მოითხოვს არა სტანდარტულ ხელაღებით მიდგომას ნარგავებისადმი საერთოდ, არამედ დიფერენცირებულ და კონკრეტულ მიდგომას თვითეული პლანტაციისადმი, თვითეული ხისადმი ცალკე, ყველა მისი თავისებურების გათვალისწინებით.

1. საქართველოს სსრ სახკომსაბჭო ავალებს საქართველოს მიწსახკომს, „საქ. ჩაის" ტრესტს, ლიმმანტრესტს, აფხაზეთის და აჭარის ასსრ ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს და რაიაღმასკომებს გაატარონ შემდეგი ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველჰყოფენ ციტრუსოვანი კულტურების მოსავლიანობის შემდგომ ამაღლებას:

ა) უზრუნველჰყონ 15 აპრილისათვის მსხმოიარე პლანტაციებში ბუდნების მდგომარეობის შემოწმება, მათი გაფართოება (წარსული წლის დეფექტების გამოსწორება ბუდნების ხაზით); ნახევრადტერასების მოწყობა, არსებული სადრენაჟო ქსელის წესრიგში მოყვანა და დამატებითი სადრენაჟო ქსელის მოწყობა, ნახევრად სფერული მწკრივების გაწმენდა და გაღრმავება; აღნიშნული სამუშაოები არამსხმოიარე პლანტაციებში დაამთავრონ არაუგვიანეს ა/წ. ივლისისა;

ბ) დაამთავრონ ორგანიული სასუქის შეტანა პირველი აპრილისათვის, თანაც მოახდინონ სასუქის შეტანის დიფერენციაცია თვითეული ხისათვის ნარგავის მდგომარეობისა და ნიადაგის ნაყოფიერების მიხედვით;

გ) გვალვიან პერიოდში მოაწყონ მსხმოიარე ნარგავის მორწყვა;

დ) თვითეული ხის ინდივიდუალური მოვლის უზრუნველსაყოფად, მიამაგრონ ხეების განსაზღვრულ რაოდენობაზე მუდმივი მებაღე-მუშები და კოლმეურ-

ნეები, შეიმუშაონ მათთვის შრომის ხელფასის წამახალისებელი სისტემა, ნარ. გავის მდგომარეობისა და მოსავლის მიხედვით;

ე) იმ მიზნით, რომ ფერდობებზე გაშენებულ პლანტაციებში დაშვებულ არ იქნას ნიადაგის ჩამორეცხვა, მოაწყონ ინდივიდუალური კალათების გაკეთება იმ ბუდნაზე, რომელიც ჩამორეცხვას განიცდის, და აგრეთვე ნიადაგის სასაფარო ბალახების დათესვა და წყალსაშვები თხრილების მოწყობა.

2. რადგან ციტრუსოვანი კულტურების ნარგავთა სხვადასხვა ავადმყოფობასთან და მავნებლებთან არადამაკმაყოფილებელი ბრძოლის შედეგად უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად გავრცელდა ციტრუსოვანი კულტურების პლანტაციების დაავადება ფარიანით, „ჩერვეცით", ვერცხლისფერი ტკიპით, ჰომოზით და ციტრუს-ბლიასტით,—საქართველოს სსრ სახკომსაბჭო სცნობს, რომ ამჟამად პრაქტიკაში შემოღებული წესები და მეთოდები ციტრუსოვან მცენარეთა მავნებლებთან და ავადმყოფობასთან ბრძოლისა სრულიად არ არის საკმარისი და ვერ უზრუნველჰყოფენ მავნებლებისა და ავადმყოფობის გავრცელების ბუდეების სწრაფ ლიკვიდაციას.

3. საქართველოს სსრ სახკომსაბჭო ავალებს საქართველოს მიწსახკომს ა/წ. 9 მარტს მოიწვიოს ქალაქ ბათომში ციტრუსოვანი, კულტურების საბჭოთა მეურნეობების და კოლმეურნეობების სპეციალისტთა, მუშათა და კოლმეურნეთა ციტრუსების პრაქტიკოსთა ფართო თათბირი სამეცნიერო-საკვლევო ორგანიზაციების მუშაკთა მონაწილეობით, რომელზედაც შემუშავებულ იქნას ციტრუსოვანი კულტურების მავნებლებთან და ავადმყოფობასთან ბრძოლის კონკრეტული ღონისძიებანი, რაც უზრუნველჰყოფს ციტრუსების დროულად წამლობას, დაავადების კერების ლიკვიდაციას, აგრეთვე ციტრუსების მავნებლებთან ბრძოლისათვის სათანადო ტექნიკური ბაზის შექმნას.

4. იმ მიზნით, რომ ციტრუსოვანი ნარგავები უზრუნველყოფილ იქნან ორგანიული სასუქებით,—საქართველოს სსრ მიწსახკომმა სამი თვის განმავლობაში შეიმუშაოს საშუალებანი ტორფის გადამუშავებისა და გამოყენებისა ტორფ-კომპოსტის, ტორფ-ტუკების და ტორფ-ფეკალის სახით; შემუშავებული საშუალებანი წარმოუდგინოს განსახილველად საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს.

დაევალოს ლიმმანტრესტს გააფართოვოს ტორფ-ფეკალის ქარხანა ფოთში ისეთი ანგარიშით, რომ 1938 წელს გამოშვებულ იქნას არანაკლებ 4 ათასი ტონა ტორფ-ფეკალისა, ამასთან ერთი დეკადის ვადაში წარუდგინოს სსრ კავშირის მიწსახკომს განაცხადები აღნიშნული ღონისძიების დასაფინანსებლად.

5. დაევალოს საქართველოს მიწსახკომს, „საქ. ჩაის" ტრესტს და ლიმმანტრესტს ერთი თვის ვადაში წარმოუდგინონ განსახილველად საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს ღონისძიებანი, რათა საბჭოთა მეურნეობებში და კოლმეურნეობებში მოეწყოს სასიდერაციო კულტურებისა და სასაფარო ბალახთა სათესლე-

ები, იმ ანგარიშით, რომ მათი მოთხოვნილება უახლოეს წლებში სავსებით იქნას უზრუნველყოფილი.

6. რადგან საიმპორტო ნარგავის მოვლა არადამაკმაყოფილებელია და არ არსებობს საიმპორტო ხეების ზუსტი ხარისხობრივი აღრიცხვა,—დაევალოს საქართველოს სსრ მიწსახკომს ერთი თვის განმავლობაში შეამოწმოს საიმპორტო ნარგავთა მდგომარეობა, დააწესოს ზუსტი აღრიცხვა საიმპორტო ხეების ყველა ხარისხობრივი მაჩვენებლებისა და შემდგომში დააკისროს საიმპორტო ნარგავის მქონე მეურნეობებს ამ ნარგავის სპეციალური მეთვალყურეობა და მათი მოსავლიანობის აღრიცხვა.

7. რადგან საქართველოს სსრ მიწსახკომის, ლიმმანტრესტის და „საქ. ჩაის" ტრესტის ხელმძღვანელობა ქარსაცავ მცენარეთა დარგვის საქმეში არადამაკმაყოფილებელია, რის შედეგად დღემდე არ არსებობს ქარსაცავ ნარგავთა განვითარების მტკიცე გეგმა და არ არის მოწყობილი ქარსაცავი კულტურების სანერგე მეურნეობის განვითარების საქმე:

ა) დაევალოს საქართველოს სსრ მიწსახკომს არაუგვიანეს 10 მარტისა გაანაწილოს ქარსაცავი კულტურების მთელი არსებული ნერგი კოლმეურნეობებზე და საბჭოთა მეურნეობებზე, თანაც უზრუნველჰყოს ამ ნერგის დარგვა როგორც არსებულ პლანტაციებზე, ისე იმ ფართობზე, რაც გამოყოფილია ციტრუსების გასაშენებლად შემდგომ წლებში;

ბ) წარმოუდგინოს განსახილველად საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს არაუგვიანეს 15 მარტისა ღონისძიებანი ქარსაცავ ნარგავთა გასაშენებლად უახლოეს წლებში და გეგმა ქარსაცავ კულტურათა სანერგეების ორგანიზაციისა.

წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მიწსახკომს მოიწვიოს ა/წ. 8 მარტს ბათომში სუბტროპიკული რაიონების მუშაკთა, სპეციალისტთა და ციტრუსების დარგის პრაქტიკოს-კოლმეურნეთა თათბირი, რათა შემუშავებულ იქნას ქარსაცავი კულტურების განვითარების პრაქტიკული ღონისძიებანი.

8. დაევალოს საქართველოს სსრ მიწსახკომს 1938 წლის 1 ივლისისათვის წარმოუდგინოს განსახილველად საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს ციტრუსოვანი ნარგავების ყინვებისაგან დაცვის (ზამთრობა) ღონისძიებათა პროექტი.

9. არსებულ ციტრუსოვან ნარგავთა რაოდენობის დასაზუსტებლად და თვითეული ხის ინდივიდუალური მოვლის უზრუნველსაყოფად, დაევალოს რაიალმასკომებს ჩაატარონ თვითეულ საბჭოთა მეურნეობაში და კოლმეურნეობაში ყველა ციტრუსოვანი ნარგავის პასპორტიზაცია ასაკის მიხედვით, ჰექტარობით და ცალობით, თანაც, დაამთავრონ ეს მუშაობა არაუგვიანეს 1938 წლის 15 ოქტომბრისა.

დაევალოს საქართველოს სსრ მიწსახკომს ერთი თვის განმავლობაში შეიმუშაოს საპლანტაციო დავთრების ერთიანი ფორმა და შემოიღოს 1938 წლის სექტემბრიდან წესი ციტრუსოვანი კულტურების ხაზით წარმოებული ყველა მუშაობის სისტემატური აღრიცხვისა.

10. რადგან არსებული საცდელი და სამეცნიერო-საკვლევო ორგანიზაციები, პირველ რიგში კი ჩაის მრეწველობის და სუბტროპიკული კულტურების საკავშირო სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტი ციტრუსოვანი კულტურების განვითარებისათვის ხელისშეწყობის მხრივ არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ, რაც იმით აიხსნება, რომ მათ სუსტი კავშირი აქვთ კოლმეურნეობების, საბჭოთა მე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ურნეობების და სამიწათმოქმედო ორგანოების პრაქტიკულ მუშაობასთან,—დაევალოს საქართველოს სსრ მიწსახკომს ერთი თვის განმავლობაში განიხილოს ჩაის მრეწველობის და სუბტროპიკული კულტურების სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის მუშაობის გეგმა და შეიტანოს მასში საჭირო ცვლილებები იმ მიმართულებით, რომ ინსტიტუტის მუშაობა დაუახლოვდეს სუბტროპიკული კულტურების განვითარების პრაქტიკული საკითხების დამუშავებას (პლანტაციების სწორად გაშენება და მათი მოვლა, ფერდობების ათვისება, ბრძოლა ნიადაგის ჩამორეცხვასთან, ბრძოლა სუბტროპიკული მცენარეების მავნებლებთან და ავადმყოფობასთან, ქარსაცავი ნარგავები, ახალი რაიონების და მიკრო-რაიონების გამოვლინება, ფორთოხლის ჯიშის გაუმჯობესება, სხვადასხვა სასუქის გამოყენების რაციონალური მეთოდების დამუშავება და სხვ).

დაევალოს ჩაის მრეწველობის და სუბტროპიკული კულტურების სრულიად საკავშირო სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტს მოაწყოს საბჭოთა მეურნეობებში, კოლმეურნეობებში და ცალკეულ მეციტრუსე პრაქტიკოსთა მეურნეობებში თავისი საყრდენი პუნქტები ციტრუსოვანი კულტურების დარგის მოწინავეთა გამოცდილების მასობრივი შესწავლისათვის, დაამყაროს მუდმივი კავშირი საუკეთესო მეციტრუსე პრაქტიკოსებთან—კუზნერთან, უპოპეკთან, გორდეზიანთან და სხვებთან, და გამოიყენონ მათი გამოცდილება და ცოდნა მეცნიერული განზოგადოებისათვის.

დაევალოს საქართველოს სსრ მიწსახკომს ერთი თვის ვადაში შეამოწმოს სუბტროპიკულ რაიონებში წარსულში მოწყობილი ქიმ-ლაბორატორიების მდგომარეობა და წარმოუდგინოს განსახილველად საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს ლონისძიებანი ამ ლაბორატორიების მუშაობის შესახებ.

საქართველოს სსრ სახკომსაბჭო ავალებს აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს, რაიაღმასკომებს და სუბტროპიკულ რაიონების სამიწათმოქმედო ორგანოების ყველა მუშაკს მოაწყონ ამ დადგენილების ბოლშევიკური შესრულება, რათა უზრუნველყოფილ იქნას წარმატებით განხორციელება საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და საკავშირო სახკომსაბჭოს დადგენილებისა საქართველოში ციტრუსოვანი კულტურების ფართობის გადიდების შესახებ და შესრულდეს მაღალხარისხოვანი ციტრუსოვანი ნაყოფით მთელი საბჭოთა კავშირის მომარაგების შემდგომი გადიდების ამოცანა. კერძოდ, საქართველოს სსრ სახკომსაბჭო აყენებს სუბტროპიკული რაიონების პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკების, სპეციალისტების, კოლმეურნეების და საბჭოთა მეურნეობების მუშების წინაშე ამოცანას, რომ 1938 წელს მისცენ ქვეყანას არანაკლებ 400 მილიონი ცალი ციტრუსოვანი ნაყოფისა.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მ.დ.ა. **რ. ჭელიძე.**

1938 წ. მარტის 4. № 292
თბილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანართი № 1.

ბ ე ბ ო ა

1938 წელს ციტრუსოვანი კულტურების გაშენებისა რაიონების და სექტორების მიხედვით.

რ ა ი ო ნ ე ბ ი	მეურნეობათა დასახელება	კ ულ ტ ურ ა			
		მანდა-რინი	ლიმონი	ფორთო-ხალი	ს/ ნ ა
1. ბათუმის . . .	ლიმანტრესტის საბჭოთა მეურნეობანი	—	3,2	0,8	4
	საქ. ჩაის საბჭოთა მეურნეობები . .	—	1,3	1,0	2,3
	აჭარის საბჭ. მეურნ. ტრესტის საბჭ. მეურნეობები	—	5	2,7	7,7
	კოლმეურნეობები	163	38	36	237
	კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ მეურნეთა საკარმიდამო ნაკვეთები .	74	35	11	120
	დანარჩენი საბჭ. მეურნეობები და ორგანიზაციები	10	5,5	2,5	18
	სულ რაიონში	**247**	**88**	**54**	**389**
2. ქობულეთის .	ლიმანტრესტის საბჭოთა მეურნეობანი	13,23	3	—	16,23
	საქ. ჩაის საბჭოთა მეურნეობები . .	21,92	30,5	5,8	58,22
	აჭარის საბჭ. მეურნ. ტრესტის საბჭ. მეურნეობები	1	3	—	4
	კოლმეურნეობები	274,8	156,5	25	456,3
	კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ მეურნეთა საკარმიდამო ნაკვეთები .	89,9	20	5,1	115
	დანარჩენი ორგანიზაციები	1,15	11,0	0,1	12,25
	სულ რაიონში	**402**	**224**	**36**	**662**
3. აჭარის ასსრ-ში	ლიმანტრესტის საბჭოთა მეურნეობანი	13,23	6,2	0,8	20,23
	საქ. ჩაის საბჭოთა მეურნეობები . .	21,92	31,8	6,8	60,52
	აჭარის საბჭ. მეურნ. ტრესტის საბჭ. მეურნეობები	1	8	2,7	11,7
	კოლმეურნეობები	437,8	194,5	61	693,3
	კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ მეურნეთა საკარმიდამო ნაკვეთები .	163,9	55	16,1	235
	დანარჩენი ორგანიზაციები	11,15	16,5	2,6	30,25
	სულ აჭარის ასსრ-ში . . .	**649**	**312**	**90**	**1.051**
4. მახარაძის . . .	ლიმანტრესტის საბჭოთა მეურნეობა .	7,1	2,5	1,1	10,7
	საქართველოს ჩაის საბჭ. მეურნეობა	19	15	5	39
	კოლმეურნეობანი	265	57,5	23	345,5
	კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ მეურნეთა საკარმიდამო ნაკვეთები .	38,9	35	0,9	74,8
	ჩაის მეურნეობის სრ. საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი	2	—	—	2
	სულ რაიონში	**332**	**110**	**30**	**472**

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაიონები	მეურნეობათა დასახელება	კულტურა			
		მანდარინი	ლიმონი	ფორთოხალი	ჯამი
5. ლანჩხუთის .	კოლმეურნეობები	114	25,2	2,6	141,8
	კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ მეურნეთა საკარმიდამო ნაკვეთები .	90	23,8	4.4	118,2
	სულ რაიონში	**204**	**49**	**7**	**260**
6. ჩოხატაურის .	კოლმეურნეობები	8,2	0,7	—	8,9
	კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ მეურნეთა საკარმიდამო ნაკვეთები .	12,3	0,8	—	13,1
	სულ რაიონში	**20,5**	**1,5**	**—**	**22**
7. აბაშის . . .	კოლმეურნეობები	9	—	—	9
	კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ მეურნეთა საკარმიდამო ნაკვეთები .	21	—	1	22
	სულ რაიონში	**30**	**—**	**1**	**31**
8. ცხაკაიას . . .	კოლმეურნეობები	38	—	—	38
	კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ მეურნეთა საკარმიდამო ნაკვეთები .	72	6	1	79
	სულ რაიონში	**110**	**6**	**1**	**117**
9. ზუგდიდის .	კოლმეურნეობები	10	—	0,5	10,5
	კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ მეურნეთა საკარმიდამო ნაკვეთები .	21,5	—	0,5	22
	სულ რაიონში	**31,5**	**—**	**1**	**32,5**
10. ჩხოროწყუს .	კოლმეურნეობები	37,4	—	1	38,4
	კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ მეურნეთა საკარმიდამო ნაკვეთები .	29,1	—	—	29.1
	სულ რაიონში	**66,5**	**—**	**1**	**67,5**
11. წალენჯიხის .	კოლმეურნეობები	21,5	0,5	—	22
	კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ მეურნეთა საკარმიდამო ნაკვეთები .	12,5	0,5	—	13
	სულ რაიონში	**34**	**1**	**—**	**35**
12. ზუგდიდის . .	კოლმეურნეობები	275	5,5	5	285,5
	კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ მეურნეთა საკარმიდამო ნაკვეთები .	58	13	2	73
	სულ რაიონში	**333**	**18.5**	**7**	**358,5**

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაიონები	მეურნეობათა დასახელება	კულტურა			
		მანდარინი	ლიმონი	ფორთოხალი	ჩაი
13. ხობის . . .	კოლმეურნეობები	28	1	0,5	29,5
	კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ მეურნეთა საკარმიდამო ნაკვეთები .	34	5	0,5	39,5
	სულ რაიონში	**62**	**6**	**1**	**69**
14. ფოთის . . .	ლიმანტრესტი	—	10	—	10
	საბჭოთა მეურნეობები	20,5	6	2	28,5
	კოლმეურნეობები	23	8	—	31
	კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ მეურნეთა საკარმიდამო ნაკვეთები .	91	50	7	148
	სულ რაიონში	**134,5**	**74**	**9**	**217,5**
15. გალის	ლიმანტრესტის საბჭოთა მეურნეობები	20,6	1	—	21,6
	საქართველოს ჩაის საბჭოთა მეურ-ნეობები	3	—	—	3
	კოლმეურნეობები	68	—	—	68
	კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ მეურნეთა საკარმიდამო ნაკვეთები .	58,4	13	—	71,4
	სულ რაიონში	**150**	**14**	**—**	**164**
16. ოჩემჩირის . .	„საქ. ჩაის" საბჭოთა მეურნეობები .	4	—	—	4
	დანარჩენი საბჭოთა მეურნეობები . .	1	—	—	1
	კოლმეურნეობები	95	2	—	97
	საკარმიდამო ნაკვეთები	20	6	1	27
	სულ რაიონში	**120**	**8**	**1**	**129**
17. სუხუმის . . .	აფხაზეთის ასსრ-ის მიწსახკომის საბჭოთა მეურნეობები	4	1	1,5	6,5
	კოლმეურნეობები	105	76	8	189
	კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ მეურნეთა საკარმიდამო ნაკვეთები .	57	58	20	135
	დანარჩენი ორგანიზაციები	1	1	0,5	2,5
	სულ რაიონში	**167**	**136**	**30**	**333**
18. გუდაუთის . .	კოლმეურნეობები	203	25	2	230
	კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ მეურნეთა საკარმიდამო ნაკვეთები .	110	20	3	133
	სულ რაიონში	**313**	**45**	**5**	**363**

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაიონები	მეურნეობათა დასახელება	კულტურა			
		მანდარინი	ლიმონი	ფორთოხალი	ს/ულ
19. გაგრის . . .	აფხაზეთის მიწსახკომის საბჭ. მეურნეობები	26,16	—	1,64	27,8
	კოლმეურნეობები	162	5	24	191
	კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ მეურნეთა საკარმიდამო ნაკვეთები .	36	10	6	52
	დანარჩენი ორგანიზაციები	1,84	5	0,36	7,2
	სულ რაიონში	**226**	**20**	**32**	**278**
20. აფხაზეთის ასსრ	ლიმანტრესტის საბჭოთა მეურნეობები	20,6	1	—	21,6
	„საქ. ჩაის" საბჭოთა მეურნეობები .	7	—	—	7
	აფხაზეთის მიწსახკომი	30,16	1	3,14	34,30
	კოლმეურნეობები	627	114	34	775
	საკარმიდამო ნაკვეთები	281,4	107	30	418,4
	დანარჩენი საბჭოთა მეურნეობები და სხვადასხვა ორგანიზაციები . .	3,84	6	0,86	10,7
	სულ რაიონში	**970**	**229**	**68**	**1,267**
	სულ რესპუბლიკაში	**2.983**	**801**	**216**	**4,000**
მათ შორის:	ლიმანტრესტის საბჭოთა მეურნ. . .	40,93	19,7	1,9	62,53
	„საქ. ჩაის" საბჭ. მეურნეობები . . .	47,92	46,8	11,8	106,52
	აჭარის ტრესტის საბჭ. მეურნ. . . .	1	8	2,7	11,7
	აფხაზეთის ასსრ-ში მიწსახკ.საბჭ.მეურნ.	30,16	1	3,14	34,30
	სხვადასხვა ორგანიზაციათა საბჭოთა მეურნეობები	37,49	28,5	5,46	71,4
	კოლმეურნეობები	1899,4	401,4	127,6	2428,4
	კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ მეურნეთა საკარმიდამო ნაკვეთები .	926,1	295,6	63,4	1285,1

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ ე ბ მ ა

1938 წლისათვის ნიადაგის მომზადებისა ციტრუსოვან კულტურათა პლანტაციების გასაშენებლად 1939 წელს

რ ა ი ო ნ ე ბ ი	ტყეების ამოძირკვა ჰექტარობით		ბუჩქების ამოძირკვა ჰექტარობით		დრენაჟების, თხრილ. მოწყ. გრძივ. მეტრ.		ნიადაგის მომზადება ჰექტარობით	
	1939 წელს	აქედან 1938 წლის შემოდგომაზე	1939 წელს	აქედან 1938 წლის შემოდგომაზე	1938 წ.	1939 წ.	1939 წელს	აქედან 1938 წლის შემოდგომაზე
1. აჭარის ასსრ	987,87	494	450,27	226	168.788	388.655	1.316	658
2. მახარაძის	346,5	174	636,8	320	12.310	14.145	592	296
3. ლანჩხუთის	200,96	100	68,78	35	8.110	24.410	327	170
4. ჩოხატაურის	0,3	0,3	1,2	1,2	840	1.750	28,5	20
5. აბაშის	—	—	—	—	3.165	1.850	43,5	30
6. ცხაკაიას	0,5	0,5	9,8	9,8	1.560	5 560	148,5	80
7. გეგეჭკორის	3,6	3,6	5,5	5,5	1.950	2.800	42,5	30
8. ჩხოროწყუს	19	19	36	36	18.450	74.530	84,5	50
9. წალენჯიხის	29,8	29,8	44	44	11.650	31.950	44	30
10. ზუგდიდის	73,49	40	117,05	80	36.600	96.473	454,5	230
11. ხობის	25	25	33,5	33,5	14.550	30.400	90	60
12 ფოთის	6	6	2	2	72.500	199.700	241	100
13. აფხაზეთის ასსრ	176,3	100	122,16	100	55.365	102.535	1.588	800
სულ რესპუბლიკაში	**1869,32**	**992,2**	**1527,06**	**893**	**405.834**	**974.758**	**5.000**	**2.554**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანართი № 3.

გ ე გ მ ა

საძირეების გადარგვისა და ტრიფოლიატის თესლის თესვისა 1938 წლისათვის საქართველოს სს რესპუბლიკაში

რაიონები	სექტორების და ორგანიზაციების დასახელება	ტრიფოლიატის დარგვის გეგმა	საძირეების გადარგვის გეგმა ცალობით
აჭარის ასსრ . .	„საქართველოს ჩაის“ საბჭოთა მეურნეობები	1	100.000
	დანარჩენი საბჭოთა მეურნეობები . . .	1	700.000
	კოლმეურნეობები	2	1.600.000
	ს უ ლ	**4**	**2.400.000**
აფხაზეთის ასსრ .	ლიმანტრესტის საბჭოთა მეურნეობები .	—	350.000
	დანარჩენი საბჭოთა მეურნეობები . . .	1	1.800.000
	კოლმეურნეობები	2	1.600.000
	ს უ ლ	**3**	**3.750.000**
მახარაძე	ლიმანტრესტის საბჭოთა მეურნეობები .	1,15	700.000
	„საქ. ჩაის“ საბჭოთა მეურნეობები . .	1,4	400.000
	კოლმეურნეობები	2	900.000
	ს უ ლ	**4,55**	**2.000.000**
ზუგდიდი . . .	ლიმანტრესტის საბჭოთა მეურნეობები .	0,6	400.000
	კოლმეურნეობები	2	1.600.000
	ს უ ლ	**2,6**	**2.000.000**
ცხაკაია	ლიმანტრესტის საბჭოთა მეურნეობები .	0,6	—
	კოლმეურნეობები	1	1.900.000
	ს უ ლ	**1,6**	**1.900.000**
ფოთი	საბჭოთა მეურნეობები	—	500.000
	კოლმეურნეობები	1	700.000
	ს უ ლ	**1**	**1 200,000**

	სექტორების და ორგანიზაციების დასახელება	ტრიფოლიატის დარგვის გეგმა	საძირეების გადარგვის გეგმა ცალობით
	კოლმეურნეობები		
	წალენჯიხა	0,5	250.000
	ლანჩხუთი	2	1.700.000
	აბაშა	0,5	500.000
	ჩოხატაური	0,5	100.000
	გეგეჭკორი	0,5	300.000
	სამტრედია	0,6	100.000
	წულუკიძე	—	—
	ქუთაისი	—	—
	ტყიბული	—	—
	ჩხოროწყუ	—	100,000
	ხობი	1	700 000
	სულ რესპუბლიკაში . . .	**22,35**	**17.000.000**
ლიმანტრესტის საბჭოთა მეურნეობები		2,35	1.450.000
„საქ. ჩაის“ საბჭოთა მეურნეობები		2,4	500.000
დანარჩენი საბჭოთა მეურნეობები		2	3.000.000
კოლმეურნეობები		15,6	12.050.000

ჩაბარდეს პირველ
რიგში ხელწერილის ქვეშ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფასი 30 კაპ.

გამომცემელი საქ. სსრ ს. კ. ს-ოს / საქმ. მმართველობა 1938 წ. № 13. პ/მ. რედაქტორი **ი. შელეგია**

ქაღალდის ფორმატი 62×94 სმ; 1¼ ბეჭდვ. ფურც; 1 ბეჭდვ. ფურც. 48.500 სტამბ. ნიშანი.
გადაეცა სტამბას 11/III, ხელმოწერილია დასაბეჭდად 5/IV; ტირაჟი 2.000.

მთავლიტის რწმ. № 2936. საქ. სსრ სახალხო კომისართა საბჭოს სტამბა შეკ. № 262